საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 20,000 მან. ...
4 „ 10,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 500,000 მან.
4 „ 300,000 „

№ 393 შ ბათი, იანვარის 13 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა


# რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა

კოოპერატივებს და კერძო პურის მცხობელთ აწოდებს **ყუბანის ფქვილს** 550,000 (**ხუთას ორმოც და ათი ათას მან.**) **ფუთს** უტომროთ,—განსაკუთრებით პურის გამოსაცხობად და გასაყიდად ქ. ტფილისის მცხოვრებთათვის ფასათ—რუსული პური არა უმეტეს 13,000 მ. (ცამეტი ათას მან.) გირვანქა და ადგილობრივი 14.000 (თოთხმეტი ათასი) მ ნ. პირველყოფილ კოოპერატივს აწოდებს აგრეთვე **შაქრის ფხვნილს 3,000,0000 (სამ მილიონ)** მანეთათ **ფუთს** ქალაქ ტფილისის მცხოვრებთათვის გასაყიდათ არა **უმეტეს** 80,000 (**ოთხმოცი ათას**) **მან. გირვანქა.** ფქვილისა და შაქრისათვის უნდა მიმართონ გამგეობაში—კირკის **№ 7,** ტელ. 1509 და ცენტროსაწყობში მთლიან **მუშკოპისა,** ბამბის რიგი, ყოფ. მანთაშევის პასაჟი, ტელ. 140.

268

**რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის კანტორა.**

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ეღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად **200,000** მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: **პეტროგრადში, მოსკოვში** და საქართველოს მნიშვნელოვან **დაბა-ქალაქებში.** ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

რუსთაველის თეატრი

შაბათს 13 იანვარს

## ცხვრის წყარო

დადგმა **კ. მარჯანიშვილისა**

1—1

## 17 იანვარს 1923 წ. ქალაქ ტფილისში მოწვეულია სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სასწრაფო სესია

**სესიის დღის წეს-რიგი;**

1. რაპალოს ხელშეკრულების დამტკიცება—მომხ. (შ. ელიავა).
2. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია—მომხ. (მ. ორახელაშვილი).
3. სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენება-მომხს. (დ. კანდელაკი).
4. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება (ვ. სტურუა).
5. მიმდინარე საკითხები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

265 6—2 **თ. კალანდაძე.**


# იმპერიალისტურ საკლაოზე

არა ერთი ერი და სახელმწიფო გვინახავს იმპერიალისტურ სასაკლაოზე განართხული. კაპიტალის მაგნატთა ხელები შეღებილია პატარა ერთა სისხლით. მსოფლიო ომში დაცემული 35 მილიონი ადამიანი საკმაო არ გახდა იმპერიალისტური სასაკლაოს შეჩერებისათვის.

დღეს გერმანეთის კულტურული ხალხის ხარჯზედ არის გამართული სასაკლაო. რურის ოლქის ოკუპაციას უკვე შეუდგა საფრანგეთის გათავხედებული იმპერიალიზმი. რადიო-დეპეშები გადმოგვცემენ ცნობებს რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ, რომლებიც ნათლად მოწმობენ იმპერიალისტური სასაკლაოს ხასიათს.

საფრანგეთმა ნოტა გადასცა გერმანეთის წარმომადგენლობას, რომელშიაც აუწყებს, რომ რურის ოლქში მათ მიერ გაიგზავნა კომისია ქვანახშირის სინდიკატის თვალყურის სადევნებლად, კომისია ბრძანებებს მისცემს სინდიკატს, რომ მიიღონ ყოველი ზომები საკონტრიბუციო ხარჯების გასაღებად. ნოტა აღნიშნავს, რომ თუ ადგილი ექნა რაიმე „უწესრიგას“ და წინაამდეგობას, დაუყონებლივ მიღებულ იქნება დამსჯელი ზომები.

როგორც ვიცით, საოკუპაციო ჯარი უკვე შედის რურის ოლქში, რომელიც შესდგება არტილერიის, კავალერიის და ქვეითა ჯარისაგან. საფრანგეთის მფრინავები უკვე ათვალიერებენ ჯერ კიდევ ოკუპაციაში მოუყოლელ ადგილებს, ჯარი შეიარაღებულია ჯავშნოსნებით, ტანკებით და მძიმე იარაღებით.

საფრანგეთს მხარს უჭერს ბელგია და იტალეთი რურის ოლქის ოკუპაციის საკითხში. მუსოლინის აზრით, საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა კავშირით, რომელშიაც უნდა შევიდეს საფრანგეთი, ბელგია და იტალეთი.

იტალეთი ეხლავე თანხმობას აცხადებს, რომ რურში გაგზავნოს ინჟინრები, რომელნიც დაეხმარებიან გერმანეთის ვალდებულებათა განაღდებას.

ბელგიის პრემიერ-მინისტრი ფენისი, პარლამენტში აცხადებს, რომ ბელგია და იტალეთი საფრანგეთს მხარს უჭერსო.

მაშასადამე ჩვენს წინაშეა შავი სამეული საფრანგეთ-იტალეთ-ბელგიის სახით, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ილაშქრებს დაცემული გერმანეთის წინაღმდეგ.

გუშინ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კუნოს კაბინეტი ვერ შესძლებს თავდაცვას და იგი მხოლოდ ოფიციალური პროტესტებით დაკმაყოფილდებათქო. დღეს უკვე ჩვენ ხელთაა ცნობა, რომელიც გვეუბნება, რომ პრეზიდენტმა ებერტმა გამოუშვა მოწოდება, საოკუპაციო რაიონების მცხოვრებთა მიმართ. რომელშიაც იგი აღნიშნავს მტრის გათავხედებას, მაგრამ... მაგრამ მოუწოდებს მცხოვრებთ „წესიერებისაკენ“ რომ მათ დაიცონ თავისი „ღირსებანი და პატივი“ სანამ არ დადგება დღე სამართლიანობის გამარჯვებისა.

გერმანეთის პარტიები, როგორც სოციალისტური და ფედერალისტური, ისე ცენტრი, დემოკრატიული, სახალხო და ნაციონალისტური, თავისი მხრით პროკლამაციით აცხადებენ პროტესტს საფრანგეთის დაპყრობითი პოლიტიკის წინაალმდეგ. ყოველივე ეს ხდება იმ დროს როდესაც გერმანეთს ხელიდან ართმევენ თავისი წარმოების ერთ უმთავრეს და უძლიერეს საფუძვლებს, რურის ოლქს, სადაც არის ნახშირი და რკინა და რის გარეშე გერმანეთის წარმოება ერთ ბიჯს ვერ გადადგამს. ამ აქტით ხდება არა რომელიმე ოლქის ოკუპაცია, არამედ გერმანეთის კოლონიზაციაც.

ჩვენ სავსებით გვესმის გერმანეთის კრიტიკული მდგომარეობა. გათვალისწინებული გვაქვს მისი რთული პირობები და ისიც კარგად ვიცით, რომ ყოველივე ეს შედეგი გახდა დაუსრულებელი რევოლიუციის, რომლის წინაალმდეგ ბრძოლაში საპატიო ადგილი მიუძღვის გერმანეთის სოციალ-დემოკრატიას.

ცხადია, ვერც დღეს და ვერც ხვალ, ებერტის გერმანეთი ვერ შესძლებს იმპერიალისტურ სასაკლაოზედ აღმართოს საწინააღმდეგო ძალა.

გერმანეთი ომში გაახვია ცარიზმა, გერმანეთი ვერ იხსნა ვერც ბურჟუაზიამ და კოალიციონურმა ხელისუფლებამ და გერმანეთს ვერ იხსნის დღესაც ეს ძალა. გერმანეთის ხსნა შესაძლებელი გახდება მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, რომელიც მტკიცე კავშირში იქნებიან საბჭოთა ქვეყნებთან და დაუპირისპირდებიან იმპერიალისტურ სამყაროს.

გერმანეთისათვის სხვა გამოსავალი არ არსებობს. საგარეო პოლიტიკა თუ საშინაო, მას იქეთკენ მიაქანებს, რომ იგი ან უნდა განადგურდეს ან და უნდა განახლდეს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

მუშებმა პროკლამაციით კი არ უნდა განაცხადონ პროტესტი საფრანგეთის მიმართ, არამედ თავისი სისხლით უნდა დაიცონ სოციალისტური გერმანეთი. სხვა გზით არ შეიძლება სიარული იმპერიალისტურ სასაკლაოზედ.

# ნარკვევი

**ფაშისტური მილიცია იტალიაში.**

იმ დროს, როდესაც მუშა-კომუნისტებს ან და უპარტიოებს იტალიის კლასიური იუსტიცია სასტიკ განაჩენს გამოუტანდა ხოლმე იარაღის ტარების ან ამაში ეჭვის მიტანისათვის, ფაშისტები თავისუფლად ქმნიდენ თავიანთ ჯარს და ნაკლებ ზრუნავდენ კოდექსის მუხლებზე. 4 ოქტომბერს, ჯერ კიდევ წინა დღით ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა „პოპოლო დეიტალია“, მათი ოფიციალური ორგანო, დაარსებული მუსოლინის მიერ 1914 წელს, აშკარათ აქვეყნებდა ფაშისტური მილიციის წესდებას. ეს წესდება მით საყურადღებოა პროლეტარიატისთვის, რადგან „დემოკრატია“ ყველგან ერთია და მათი პროდუქტი—ფაშისტები—მაგალითია სხვა ქვეყნების ბურჟუაზიისა და მთავრობისთვის.

წესდება 61 პარაგრაფისგან შესდგება და შეიცავს მილიციის მთელ შინაგან წყობილებას, მის დამოკიდებულებას ფაშისტურ პარტიისადმი, უფლებას და მოვალეობას მისი წევრებისას და სხვა. მე-2 პარაგრაფში ნათქვამია „ფაშისტური მილიცია ემსახურება ღმერთსა და იტალიის ხალხს, რაშიც იძლევა შემდეგ ფიცს „სახელითა ღვთისათა, სახელითა იტალიისა... მე ვფიცავ მუდამ და მხოლოდ იტალიას ვემსახურო“.

მე-5 პარაგრაფში ნათქვამია „ჯარისკაცმა—ფაშისტმა იცის მხოლოდ თავისი მოვალეობა. მისი ერთად-ერთი ვალდებულებაა—სიხარულით აასრულოს თავის ვალი“.

მე-9 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „ფაშისტური მილიცია თავის რიგებიდან რიცხავს ყველა უწმიდურთ, უღირსთ და გამცემთ“. მე-16 პარაგრაფში ნათქვამია: „ფაშისტური მილიცია მტკიცედ ემორჩილება პარტიას. (მხედველობაშია მიღებული პარტიის იერარქიული წყობილება). მილიცია უნდა იქმნეს არა მარტო მარჯვენა ხელი პარტიისა, არამედ პარტიასა და მილიციას შორის უნდა იყოს სრული მთლიანობა, და ყოველი ფაშისტი ჯარისკაცი უნდა იყოს ამ იდეისა, რადგან მილიცია—ეს ფაშიზმის ხორცშესხმაა. ყოველგვარი დარღვევა ამ ძირითად პრინციპისა გამცემლობას უდრის“.

შემდეგ მუხლებში ნათქვამია მილიციის წყობის და ხელმძღვანელთა მოვალეობების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა მე-29 პარაგრაფი: „ფაშიზმის მთელი ცოცხალი ძალა, ისე როგორც იტალიის მთელი მომავალი, იერარქიაზეა დაფუძნებული“. მე-34 პარაგრაფში მოხსენებულია; „მოქმედების ან სამხედრო დემონსტრაციების დროს მთელი ძალა-უფლება სამხედრო უფროსების ხელშია“.

შემდეგში განმარტებულია ცალკე საფეხურები სამხედრო და პოლიტიკურ იერარქიისა მილიციაში და პარტიაში. მოხსენებულია ფორმის ტარება აღლუმების, დემონსტრაციების დროს და სხ. ამ რეგლამენტებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის პარაგრაფები, რომლებიც ეხებიან ურთიერთობას ფაშისტების პოლიტიკურ პარტიასა და მის მილიციის შორის, აქ ხაზგასმულია, რომ აბსოლიუტური სუვერენობა პარტიას რჩება. იერარქია არსებითად წარმოადგენს აბსოლიუტურ, ცენტრალისტურ და მონარქიულ კონცეპციას. ძალა-უფლების სათავე არის უმაღლესი იერარქიული ცენტრი, საიდანაც ის გადაეცემა ქვედა საფეხურებს. რაც შეეხება მილიციის შინაგან წყობილებას, ის სავსებით წმიდა სამხედრო ხასიათის მატარებელია. რეგლამენტში განსაკუთრებული დამხმარე ტეხნიკური ნაწილებიც კია აღნიშნული მოტოციკლეტისტებისა, ველოსიპედისტებისა და სხვებისაგან, რომელთაც აქვთ თავიანთი განსაკუთრებული ფორმა და ნიშნები.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

— **ვინ არის დამნაშავე დიდ ომში.** „ბერლინერ ტაგებლატის“ რედაქტორმა თეოდორ ვოლფმა თავის გაზეთის უკანასკნელ ნომერში მოათავსა სენსაციური ცნობა ომის პასუხისმგებლობის საკითხის შესახებ. მოყავს რა მიწერ-მოწერა იზვოლსკისა და საფრანგეთის ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრის დელკასესი, ვოლფი ამტკიცებს, რომ საფრანგეთი პირდებოდა მეფის რუსეთს ყოველმხრივ დახმარებას ახლო აღმოსავლეთში, რუსეთის ომში ჩარევის სამაგიეროთ. ამასთანავე საფრანგეთი პირდებოდა მოეხდინა გავლენა ინგლისზე, რათა ამ უკანასკნელს წინაალმდეგობა არ გაეწია რუსეთის მოთხოვნილებისათვის ახლო აღმოსავლეთში. ერთ-ერთ თავის დეპეშაში იზვოლსკისადმი დელკასსე გულახდილათ აცხადებს, რომ საფრანგეთის მთავარი მიზანი არის გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების განადგურება, რათა მის ნანგრევებზე შექმნას მძლავრი საფრანგეთი. ელზას-ლოტარინგიის დაბრუნება კი მეორე რიგის ამოცანაა. ატყობინებდა რა ამას მეფის მთავრობას, იზვოლსკი უმატებდა, რომ გერმანეთის იმპერიის დამხობის პოლიტიკა იმგვარათ უნდა იქნეს მოწყობილი, რომ მასში დაინტერესებული უნდა იყონ გერმანეთის კავშირის ცალკე სახელმწიფოებიო. მეორე დეპეშაში იზვოლსკი აღნიშნავს, რომ რუსეთმა ხელი უნდა შეუწყოს სერბეთ-ხორვატების მსხვილი სახელმწიფოს შექმნას, ავსტრო-უნგრეთიდან მიწების ჩამოგლეჯით.

„ამრიგათო—სწერს ვოლფი,—პუანკარეს მიერ პალატაში გაკეთებული განცხადება, თითქოს საფრანგეთის ბრალდება გერმანიის დამხობის განზრახვაში უაზრო იყოს,—სიცრუეა. ახლა ჩვენ უკვე სრული შესაძლებლობა გვაქვს ვიმსჯელოთ, ვისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა იმყოფებოდა 1914 წელს ნამდვილი საფრთხის ქვეშ,—საფრანგეთის თუ გერმანეთის- რაღას იტყვიან ახლა ამერიკელები, რომლითათვისაც საფრანგეთის საიდუმლო ზრახვები უცნობები იყვენ“. საინტერესო არის, რომ „ტანი“ დელკასსეს დეპეშის სისწორეს არ უარყოფს და მხოლოდ მისი დამტკიცება სურს, რომ დელკასსე გერმანიის მოსპობაზე კი არ ლაპარაკობდა, არამედ გერმანეთის მილიტარიზმის შესახებ

**მდგომარეობა ინგლისში.** ბონარ ლოუმ თავის ერთ-ერთ სიტყვაში, აღნიშნა შემდეგი: სანამდე გერმანიას არ შეეძლება გადაიხადოს, ჩვენ ვერაფერს ვერ მივიღებთ საფრანგეთისაგან, უკეთეს შემთხვევაში, ჩვენ—მივიღებთ ოცი წლის განმავლობაში ნახევარ მილიონ გირვანქას უპროცენტოთ. დღეს კი ჩვენ უნდა გადაუხადოთ ამერიკის ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი. „ასეთი გადასახადები, როდესაც სამაგიეროს ვერ ღებულობ სხვებისაგან გააუარესებს ცხოვრების პირობებს ინგლისში რამოდენიმე თაობისათვის“.

ბრიტანეთის ინდუსტრიის ფედერაციის წლიურს კრებაზე ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ, თუ უახლოეს დროში არ გაუმჯდობესდება საგრძნობლად ვაჭრობის მდგომარეობა, მაშინ „ინგლისი ჩავარდება უფრო უარესს პირობებში, ვინემ მოკავშირე ქვეყნებია“, „ჩვენ—სთქვა მან—ჩქარის ნაბიჯით უახლოვდებით, თუ ჯერ კიდევ არ არ მივსულვართ, იმ მომენტს, ოდესაც ჩვენ დაგვჭირდება ვისაზრდოოთ ჩვენი კაპიტალის მომჭივნეობით“.

**ტარლიე—პუანკარეს მემკვიდრე.** ამას წინად საფრანგეთის პალატამ ნდობა გამოუცხადა პუანკარეს. უკანასკნელმა ეს გარემოება თვით ახსნა როგორც ხანმოკლე შესვენება, რადგან კენჭის ყრის წინ თვით სთხოვა პარტიებს, საერთაშორისო მდგომარეობის გამო, დაევიწყებინათ უთანხმოებანი. ნამდვილი განწყობილება პალატისა კი, საერთო მოსაზრებით, გამოიხატა იმაში, რომ მან 289 ხმით წინაალმდეგ 236 ხმისა უარყო პუანკარეს მეგობრების წინადადება გადაედვათ ყოველგვარი შეკითხვები მისი განმარტებების შესახებ. „ჟურნე ენდიუსტრიალი“ სწერს, რომ მემარცხენეები ამზადებენ პუანკარეს ადგილას ტარლიეს კანდიდატურას. ერვემ თავის მოწინავეს უწოდა: „ახალი სამინისტროს მოლოდინში“ და ირწმუნება, რომ პუანკარეს სამინისტროს დღეები დათვლილიაო.

**მოსულისაკენ.** „ექს-ჩენჯის“ ტელეგრაფის სააგენტოს ცნობებში იუწყება სანდო ავტორიტეტულს ცნობებიდან, რომ ოსმალოები გზავნიან თავიანთ დამხმარე ძალებს მოსულის ფრონტზე. 6.000 კაცისაგან შემდგარს კავკასიის დივიზიამ ჯევალის ხელმძღვანელობით დასტოვა ვანი და გაეშურა მოსულის მიმართულებით.

# რურის ოკუპაციის გამო

**მოსკოვი.** 12 იანვარი. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ აღკრძალა მასსიური დემონსტრაციები, რომლებსაც კომუნისტები აწყობდნენ დიუსელდორფში.

— ესსენში ჩამოვიდა საფრანგეთის კვარტიმეისტერი ჯარებისათვის ბინის დასამზადებლად. ესსენის ბურგომისტრმა უარი სთქვა შენობების მიცემაზე, განაცხადა რა რომ ასეთები ესსენში არ მოიპოება.

— სარეპარაციო კომისიამ საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის დელეგატთა ხმების უმრავლესობით ინგლისის დელეგატის ხმის წინაალმდეგ აღნიშნა, რომ გერმანია განზრახ არ ასრულებს თავის ვალდებულებებს ნახშირის მიწოდების შესახებ.

— ინგლისის მთავრობას უჭირავს მოლოდინის პოზიცია.

— ინგლისის ხელისუფლებას კელნში მოუვიდა ინსტრუქცია, რომლის ძალით მან არამც თუ ხელი არ უნდა შეუშალოს საფრანგეთის ჯარების წინსვლას, არამედ უნდა გაუწიოს მას ყოველგვარი დახმარება.

— საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა ინგლისის მთავრობას რურის ოლქის ოკუპაციის დაწყების შესახებ.

—„ტაიმსი“ სწერს: „ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვიწონოთ საფრანგეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ განზე გავდგეთ და უცქიროთ მომხდარ ამბებს“. წვრილ ბურჟუაზიის გაზეთი „დეილი მეილი“ მოითხოვს ბრიტანიის არმიის დაუყოვნებლივ გამოწვევას რეინის ოლქიდან.

— გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს გამოაქვეყნოს ოფიციალური განცხადება სარეპარაციო გადასახადის ნატურით მიწოდების შეწყვეტის შესახებ, ფრანგების მიერ ვერსალის ხელშეკრულების დარღვევის გამო.

— გერმანიის მთავრობა მოუწოდებს დაკავებულ ოლქების მცხოვრებლებს არ დაარღვიონ წეს-რიგი და არ გამოიწვიონ რეპრესიები საფრანგეთის ხელისუფლების მხრივ.

— ფრანკფურტში გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი საფრანგეთის ძალადობის წინაილმდეგ. მიტინგზე გამოვიდნენ კომუნისტები კაშენი, ნიუბილდი და ელზას ლოტარინგიის წარმომადგენელი გიუბნერი. ჰამბურგში მიტინგის შემდეგ, რომელიც მოაწყო კომუნისტებმა, მოხდა პოლიციასთან შეტაკება. დაპატიმრებულია რამდენიმე კაცი.

— გერმანიის მარკა დაეცა. დოლარი ღირს 11.800 მარკა. დამახასიათებელია დასავლეთ გერმანიის ლითონის-დამმუშავებელ სააქციონერო საზოგადოებათა აქციების გაძვირება, აიხსნება იმით, რომ გერმანიის მრეწველებს იმედი აქვთ, რომ საფრანგეთის კაპიტალისტები მიიღებენ მონაწილეობას რურის მრეწველობაში და საფრანგეთის ხელისუფლება დაკავებულ ოლქებში ჩააქრობს მუშათა მოძრაობას.

— ნიუ იორკიდან მიღებული ცნობებით ამერიკის მთავრობამ საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ ის უარყოფითად უყურებს რურის ოკუპაციას, მაგრამ მან თავი შეიკავა ფორმალურ პროტესტისაგან.

— რეინ-ვესტფალის ნახშირის სინდიკატის ადმინისტრაცია მთელი თავისი საქმეებით ესსენიდან გამბურგში გადავიდა, მალე მის მაგალითს მიჰყვება რეინ-ვესტფალის ლითონის-დამმუშავებელ ქარხნების ადმინისტრაცია. ამგვარად საფრანგეთის საოკუპაციო ხელის-უფლებას არ ექნება საშუალება უშუალოდ დაეყრდნოს ნახშირის სინდიკატს, რომელიც არის მთავარი მიმწოდებელი სარეპარაციო გადასახადისა ნახშირის სახით.

— 11 იანვარს დილის 9 საათზე საფრანგეთის ჯარები შევიდა ესსენის რაიონში.

**ვანდერველდე და ინგლისის სარეპარაციო გეგმა.**

**მოსკოვი.** 12 იანვარი. ბელგიის დეპუტატთა პალატაში ვანდერველდემ სასტიკად გაილაშქრა ინგლისის სარეპარაციო გეგმის წინაალმდეგ, ბრალი დასდო რა გერმანიის მსხვილ მრეწველობას შექმნილ მდგომარეობისათვის.

# ახლო აღმოსავლეთი

**მოსულის საკითხი**

**მოსკოვი** 12 იანვარი. „ტანი“ ამტკიცებს, რომ მოსულის საკითხის გადაჭრა მოხდება ახლო მომავალში.

**რეუფ-ბეის მოხსენება**

**მოსკოვი** 10 იანვარი. დიდი ეროვნული კრების უკანასკნელ სხდომაზე რეუფ ბეიმ მოხსენებაში ლოზანას კონფერენციის შესახებ აღნიშნა, რომ ოსმალეთი სცნობს მხოლოდ საბჭოთა სომხეთს, სრუტეების საკითხში ოსმალეთი ხელმძღვანელობს ნაციონალური ხელშეკრულებით, რომელშიაც აღიარებულია სრუტეებში მიმოსვლის თავისუფლება სტამბოლის საშიშროებისაგან დაცვის უზრუნველყოფით.

რეუფ-ბეიმ განაცხადა, რომ ოსმალეთი არასოდეს არ მოაწერს ხელს ნაწილობრივ შეთანხმებაზე, რაც შეიძლება მიზეზი მოხდეს ახალი ომისათვის. რეუფ-ბეიმ დაარწმუნა კრება, რომ მოსულის მცხოვრებთა სურვილი ოსმალეთთან შეერთებისა იქნება დაკმაყოფილებული თუნდაც ინგლისელებისადმი ნავთიან ადგილების მიყიდვის გზით.

რეუფ-ბეიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნავთიან ადგილების გაყიდვა კიდევ არ ნიშნავს მათ საბოლოოდ გადაცემას და სამშობლოს გაყიდვას.

ერთ-ერთ დეპუტატის შეკითხვაზე რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ რეუფ-ბეიმ განაცხადა, რომ ეს ურთიერთობა კვლავ სავსებით მეგობრულია და ხასიათდება ორთავე სახელმწიფოს რეალურ ინტერესებით. ამ ურთიერთობას არავითარი ცვლილება არ მოელის.

**საბერძნეთში**

**მოსკოვი** 12 იანვარი. საბერძნეთის საელჩო პარიზში უარყოფს ცნობებს საბერძნეთში სამხედრო მზადების შესახებ.

მეორე მხრით, საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრისადმი საფრანგეთის და ინგლისის წარმომადგენლების განცხადებაზე, რომ მოსალოდნელი ახალი გართულებების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკუთვნის საბერძნეთს ფრაკიაში მისი სამხედრო მზადების გამო, საბერძნეთის მინისტრმა უპასუხა, რომ საბერძნეთი არ ფარავს თავის სამხედრო მზადებას და ის მოუთმენლად ელოდება ლოზანას კონფერენციის შედეგებს.

**ანგორის ოპერატიული ცნობა**

**მოსკოვი** 12 იანვარი. ანგორის ოპერატიული ცნობა იტყობინება, რომ ინგლისელები მუდანიის შეთანხმების მიუხედავად ინგლისელები კვლავ განაგრძობენ ჩატაკის რაიონის გამაგრებას.

**სამხედრო მზადება საბერძნეთში**

**მოსკოვი** 12 იანვარი, საბერძნეთის მთავრობამ მობილიზაციით გაიწვია 80,000 კაცი, რომლებიც შეიარაღებული არიან ინგლისის არტილერიით და ტყვიის მფრქვეველებით. ინგლისის პირველ ბრძანებისას საბერძნეთი დაიწყებს შეტევას აღმოსავლეთ ფრაკიაზე და დაიძრება სტამბოლისაკენ. ჯარში გასაწვევ უკანასკნელი სამი წლის ჰასაკის ახალგაზრდობა გაგზავნილია ფრონტზე.

— ბოლგარეთის მთავრობა ოფიციალურად იტყობინება, რომ საბერძნეთის ჯარების რაზმმა გადალახა მდინარე მარიცი.

# ლოზანას კონფერენცია

**საზავო პირობები.**

**მოსკოვი,** 12 იანვ. მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გადასცენ ოსმალოებს საზავო პირობების საბოლოო პროგრამა. ფიქრობენ, რომ კონფერენცია დამთავრდება 25 იანვარს.

**საკითხი კაპიტულიაციის შესახებ.**

**მოსკოვი.** 12 იანვ. კონფერენციის სხდომაზე ისმეტ-ფაშამ კვლავ გაილაშქრა კაპიტულიაციის შესახებ მოკავშირეების გეგმის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ყველა უცხოელები უნდა დაემორჩილონ ოსმალეთის კანონებს, და რომ არავითარი უცხოეთის სასამართლოები არ იქნება დაშვებული ოსმალეთში.

**სრუტეები.**

**მოსკოვი,** 12 იანვ. გაიგო რა, რომ მოკავშირეები იმუშავებენ შეთანხმების ახალ პროექტს სრუტეების შესახებ, რუსეთის დელეგაციამ მიმართა კონფერენციას ნოტით ამ საკითხისათვის წინასწარი მუშაობიდან რუსეთის გამორიცხვის წინააღმდეგ. ნოტაში დელეგაცია თავიდან იშორებს ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოსალოდნელ შედეგებისათვის. რუსეთის დელეგაცია ერთხელ კიდევ აცხადებს მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ თუ სრუტეების საკითხის გადაჭრა არ იქნება დამაკმაყოფილებელი, ამაში დამნაშავენი იქნებიან მხოლოდ მოკავშირეები.

**ეროვნულ უმცირესობათა კომისიაში.**

**მოსკოვი,** 12 იანვ. ეროვნულ უმცირესობათა კომისიის სხდომაზე, მოკავშირეები განაგრძობენ დათმობით პოლიტიკას ოსმალეთისადმი. მოკავშირეებმა უარი სთქვეს თავიანთ მთავარ მოთხოვნილებებზე თითქმის ყველა მუხლებში, დაეთანხმენ აღიარონ ეროვნულ უმცირესობათ მხოლოდ არა მუსულმანური ერები ოსმალეთში, უარი სთქვეს აგრეთვე ოსმალეთში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათათვის ერთა ლიგის სპეციალურ საკონტროლო ორგანოს დაარსებაზე. საკითხი ქრისტიანების სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ ჯერ კიდევ გადაუჭრელია.

**ტერიტორიალურ საკითხების კომისიაში.**

**მოსკოვი,** 12 იანვ. ტერიტორიალურ და სამხედრო საკითხების კომისიის სხდომაზე 10 იანვარს, რომელზედაც თავმჯდომარეობდა კერზონი ოსმალებმა თანხმობა განაცხადეს არ გაასახლონ სტამბოლიდან საბერძნეთის პატრიარქი, რომელსაც ექნება მხოლოდ სასულიერო ფუნქციები.

ამავე კომისიაში საბერძნეთის დელეგატებმა განაცხადეს, რომ საბერძნეთი აძლევს დასავლეთ ფრაკიის მუსლიმანებს გარანტიებს მშვიდობიანობისათვის.

# სოციალიზმის ნაციონალიზაცია

**(გაკვრით).**

ვერნერ ზომბარტი, თავის წიგნს, რომელიც ეხება სოციალიზმს და სოციალურ მოძრაობას, კარლოს მარქსის შემდეგი ციტატით იწყებს; „ყველა აქამდე არსებული საზოგადოების ისტორია არის ისტორია კლასთა ბრძოლისაო“. ავტორი დასძენს, რომ ეს არის უდიდესი ჭეშმარიტება, მაგრამ ეს არ არის ჭეშმარიტება მოცემული სავსებით, რადგან ისტორიას ამოძრავებს არა მარტო კლასთა ბრძოლა, არამედ ნაციონალური ანტაგონიზმიცო.

ზომბარტის ეს დებულება ჩვენი მსოფლმხედველობის კვინტესენციაა, რომელიც რასაკვირველია ზომბარტისაგან არ გვისესხებია.

სოციალური და ნაციონალური ანტაგონიზმი გამსჭვივის ყოველ მოვლენაში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეს ანტაგონიზმი ხან სისხლისმღვრელ შეტაკებებში ჰპოვებს გამოსახვას, ხან კი საერთო გაფიცვებში და შრომის ექსპლოატაციაში, ან ნაციონალური კულტურის გაფართოების ტენდენციაში.

ნაციონალური ანტაგონიზმი სახეს შეიცვლის, იგი იმპერიალიზმის ფორმებიდან განთავისუფლდება, მაგრამ არსებითად არ მოისპობა. ომი ინტელექტუალურ შეჯიბრების ხასიათს მიიღებს, რაც პროგრესის საწინდარია.

კარლოს მარქსი ერთ თავის წიგნაკში რომელსაც ეწოდება „კლასთა ბრძოლა“ კაპიტალიზმის განვითარების პროცესს ერთ გვარად სახავს, ყოველ ნაწილში მსოფლიოსა და კაპიტალისტური მექანიკის განვითარება ერთგვარი ხასიათით აქვს წარმოდგენილი, როგორც აზიისა და ევროპის მიდამოებში, ისე ამერიკისა და აფრიკის ველებში. თანამედროვე სინამდვილე სხვა სურათის წინაშე გვაყენებს.

სხვა ხასიათის არის საფრანგეთისა და გერმანეთის კაპიტალიზმი, გერმანეთისა და ინგლისის ან ყველა ამ ქვეყნებისა და ამერიკის. ეს სხვაობა კომინტერნის მე 4 კონგრესზეც იყო აღნიშნული ბუხარინის მიერ.

ხაზი უნდა გაუსვათ იმ მოვლენასაც, რომ მუშათა მოძრაობაც სხვა და სხვა ქვეყნებში არ წარმოადგენს, ერთფეროვან სურათს.

ინგლისის მუშა ზომბარტის ტერმინი რომ ვიხმაროთ—არ არის დაავადმყოფებული არც საფრანგეთის მუშის მაღალი მისწრაფებებით, არც გერმანეთის მუშის ოცნებით და არც იტალეთის მუშის მხურვალე ტემპერამენტით.

ტრედ—უნიონიზმი ინგლისის და რევოლიუციონური სინდიკალიზმი საფრანგეთის, აღმოცენებულია, როგორც კაპიტალიზმის განვითარების სპეციალურ თვისებების გამო აქ ქვეყნებში, ისე ნაციონალურ ტემპერამენტის ზეგავლენითაც.

ღრუბლიანი კუნძულის დედა ქალაქის ლონდონის პროლეტარი არ შეიძლება ისახავდა „პირდაპირი ბრძოლის“ მეთოდებს ისე, როგორც ეს შეუძლია დაისახოს მოუსვენარი საფრანგეთის დედა ქალაქის, მშფოთარე პარიზის მუშამ. პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს რეფორმიზმთან, სადაც შესაძლებელი, სპეციფიური ფაბიანური „ინგლისური სოციალიზმი“, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ტენდენციის ლოღიკური გაგრძელებაა, და მეტი არაფერი მეორე შემთხვევაში ჩვენს წინაშეა რევოლიუციონიზმი, სადაც სინდიკალისტური ნეო—მარქსიზი „პირდაპირი ბრძოლისა“ და გენერალური გაფიცვის მეთოდებს აყენებს.

საფრანგეთი მეამბოხენის, ბუნტარების და რევოლიუციონერების სამშობლოა, ინგლისი მოანგარიშენის, რეფორმისტების, ლიბერალების და ბურჟუაზიული სულისკვეთების სამფლობელოა.

მართალია შპენგლერი, როდესაც ამბობს, რომ პრუსეთის ხალხი ბრძანებამორჩილებაში ჩამოყალიბდა, ხოლო ინგლისის სიმდიდრე-სიღარიბეშიო.

მარტო ის გარემოება, რომ ინგლისი ნისლიანი კუნძულია დაღს ასვამს ინგლისელ ხალხის ფსიქიკას, ქმნის ვაჭრულ სულის კვეთებას და სხ.

ჩვენ შორს წაგვიყვანდა ამ მხრივ საკითხის დასმა და ერთა ფსიხოლოგიის არეში შევიჭრებოდით. აქ საკმაოა აღნიშნულ იქნეს, რომ ნაციონალიზაციის დაღი აზის მუშათა მოძრაობას, თვით კაპიტალიზმის განვითარებასაც და თანამედროვე ისტორიული პროცესი არავითარ შანსებს არ იძლევა ასიმილიაციის ტენდენციისათვის, პირიქით, დისასიმილიაციის პროცესია ხელსაძლები.

მომავალი საზოგადოება, დამყარებული ახალი, სოციალისტური წყობილების პრინციპებზედ არ შეიძლება იქნეს ერთფეროვანი და შენებული მხოლოდ სისხლისა და ხორცისაგან შემდგარი პიროვნებათა ჯამით, განურჩევლად ნაციონალურ და ქარსიულ სპეციფიური თვისებისა.

ბოლშევიკური აზროვნებაც ანგარიშს უწევს ამ მოვლენას და ბუხარინი კომინტერნის მე-4 კონგრესზე გვეუბნება, რომ სხვა და სხვა ქვეყნის სოციალიზმი სხვა და სხვა ფორმით ჩამოყალიბდებაო. იგი აცხადებს, რომ გულწრფელად უნდა აღვიაროთ, რუსეთის სოციალიზმი აზიური სოციალიზმის ხასიათის იქნება სხვა ევროპიულ ქვეყნებთან შედარებითო.

ჩვენც დავსძენთ, რომ რუსეთის სოციალიზმისაგან აუცილებლად განირჩევა საქართველოს, სომხეთის, აღერბეიჯანის და სხვა ერთა სოციალიზმიც, რადგან სოციალური შენობა ემყარება საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ ასახებას, რომელიც სხვა და სხვა კულტურისა და ისტორიის მქონე ერში სხვა და სხვა ხასიათით არის მოვლენილი.

როდესაც რუსეთის რევოლიუციაზედ არის ლაპარაკი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი ახსნა მსოფლიოს ეკონომიკის მდგომარეობით მეტად ცალმხრივი და შაბლონიური ახსნა იქნება. რუსეთის რევოლიუციის ფაქტორები მეტად რთულია, რომლის გამოკვლევა ჯერ კიდევ მომავლის საქმეთ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ სქემატიურად ეხლაც შეიძლება მისი აღნიშვნა. ერთი მხრით კაპიტალიზმის თანამედროვე განვითარების ეტაპიიმპერიალიზმი, რომელიც განსაკუთრებულ პოლიტიკურ კონიუქტურას ქმნის მსოფლიო მაშტაბში, მეორე მხრით ნაწილობრივად ამავე მიზეზით აღმოცენებული კოლონიალური მოძრაობა, მესამე მხრით რუსეთის სპეციფიური სამეურნეო პირობები და გეოგრაფიულ ეკონომიური ფუძე, მეოთხე მხრივ რუსეთის ხალხის განსაკუთრებული სულიერი თვისებანი და კომპარტიის მტკიცე და მაგარი დისციპლინა. ყოველივე ეს ერთად ქმნის პირობებს რუსეთის რევოლიუციის ხანგრძლივობისა და გამარჯვებისას.

არ შეიძლება უმნიშვნელოდ ჩაითვალოს რუსეთის ხალხის ფსიხოლოგია.

ამ დიდ საკითხს ალბად სპეციალისტების ხელი შეეხება, მაგრამ თვით ფაქტი პეტრე დიდის და ლენინის რადიკალური ექსპერიმენტებისა და ამ ექსპერიმენტთა განაღდებისა ცხადყოფს, რომ რუსის ერს განსაკუთრებული სულიერი და ზნეობრივი თვისებანი აქვს. შეიძლება მართალი იყოს პროფესორი სიკორსკი, რომელიც რუსის ფსიქოლოგიაში უმთავრესად ხედავს, იდეალისტურ მომენტს ერთი მხრივ და მორჩილებისას მეორე მხრივ. მართლაც განა შესაძლებელია იმ უდიდესი კატასტროფების გადატანა, რომელიც წილად ხვდა რუსის ერს, გარეშე იდეალიზმისა და მორჩილების გრძნობისა? შეიძლება მომავალმა თაობამ ბოლშევიზმის გამარჯვების ფაქტორები იმაში იპოვოს, რომ „ბოლშევიკებმა იდეალიზმით შეპყრობილ ერს, იდეალი დაუსახეს და მორჩილების თვისების მქონე ხალხს, მტკიცე დისციპლინა შეუქმნეს.

რა თქმა უნდა ყოველივე ეს ჰიპოტეტიური ხასიათის დებულებაა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სოციალიზმი გაიმარჯვებს ან გატარებული ნაციონალურ პრიზმაში ან და იგი სრულიადაც ვერ გაიმარჯვებს.

სოციალიზმი იმ თავითვე ინტერნაციონალიზმს შეუკავშირდა. პროფ. მენგერი სამართლიანად შენიშნავს, რომ სოციალიზმმა ომი გამოუცხადა ნაციონალურ სხვაობას.

სენ-სიმონი ევროპის პარლამენტის შექმნაზედ ოცნებობდა. მისი მოწაფენი ანფანტენი და ბაზარიც ინტერნაციონალისტები იყვნენ.

ფურიესაც მსოფლიო მაშტაბით ქონდა წარმოდგენილი თავისი ფალანსტრების მოწყობა. ოუენსაც, თავის საზოგადოებათა ფედერაცია წარმოედგინა მეტად ფართოდ. მარქსისა და ენგელსის თვალსაზრისი ცნობილია ყველასათვის. ამ სკოლიდან სოციალიზმი გამოვიდა, როგორც უაღრესად ინტერნაციონალისტური და მატერიალისტური დოქტრინა. მხოლოდ ერთად ერთი ლასალი აღმოჩნდა, რომელმაც ნაციონალური ტენდენციაც დაამყნა თავის სოციალისტურ პროპაგანდას, მაგრამ უკანასკნელ შრომებში ისიც ვერ შერჩა ამ პოზიციას.

სოციალური დოქტრინები ხშირად ატარებენ თავის ეპოქის სულს და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოდ ჩამოთვლილი მოაზროვნენი. რომ მე-20 საუკუნის მოქალაქენი ყოფილიყვენ, ისინი იქნებოდენ წარმომადგენელიი არა სოციალიზმის ინტერნაციონალიზაციის, არამედ სოციალიზმის ნაციონალიზაციის.

თანამედროვე მოძრაობანი ამ მხრივ აუცილებლად დიდ რევიზიას მოახდენს სოციალისტურ აზროვნებაში. ეს რევიზია ნაწილობრივად უკვე სჩანს. მისი ლოღიკური განვითარება მომავლის საქმეა. სოციალიზმის ნაციონალიზაციის პროცესის შეჩერება შეუძლებელია.

იმპერიალიზმის ცდამ კოლონიათა ასიმილიაციისა მეტროპოლიის ხალხში— უშედეგოდ ჩაიარა, ამ მხრივ ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს დიდი ექსპერიმენტი, რომელმაც მეტად საზარალო შედეგი მოგვცა.

საკოლონიო პოლიტიკის ასპარეზზედ ინგლისზე უფრო ადრე გამოვიდა ესპანეთი და ჰოლანდია, მაგრამ მათი და-

# უცხოეთი

### ერფურტის პროგრამა

**მოსკოვი.** „ფორვერსტი“ ემყარება რა ერფურტის პროგრამას ემხრობა ერთიან ნაციონალურ ფრონტს და აღნიშნავს, რომ სოც.-დემოკრატები ასრულებენ თავიანთ ეროვნულ მოვალეობას გაზეთის აზრით—„ინტერნაციონალისტობა არ ნიშნავს ანტი-ნაციონალისტობას“.

### ინგლისი და საფრანგეთი

**მოსკოვი.** 12 იან. ინგლისის კაბინეტი 11 იანვარს იხილავდა საკითხს საფრანგეთის გამოსვლების საწინააღმდეგო პროტესტის, რეინიდან ინგლისის ჯარების გაყვანის და შემდეგში ვერსალის ხელშეკრულებით დაარსებულ სარეპარაციო კომისიის, ელჩთა კონფერენციის და სხვ. დაწესებულებების მუშაობაში ინგლისის მონაწილეობის შესახებ.

### უმუშევრობა ინგლისში

**მოსკოვი.** 12 იან. 7 იანვარს უმუშევრებმა მთელ ინგლისში მოაწყვეს მიტინგები და დემონსტრაციები ტრედ-უნიონების და უმუშევართა ნაციონალურ კომიტეტის ხელმძღვანელობით. ლონდონის დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 15,000 დემონსტრანტებმა მოითხოვეს პარლამენტის დაუყონებლივ მოწვევა უმუშევრობის საკითხის განსახილველად. მანჩესტერში და გლაზგოში გაიმართა დიდი დემონსტაციები. სიტყვებით გამოვიდნენ სმაილი და კლაინსი.

### ინგლისის მუშების შორის

**მოსკოვი.** 12 იან. ინგლისის მუშების ხელფასის რაოდენობა საერთოდ შემცირდა გასულ წლის განმავლობაში 4-ნა.-მილ. გირ. სტ.

### ნორვეგიის კომუნისტურ პარტიაში

**მოსკოვი.** 12 იან. ნორვეგიის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ 3 დღის კამათის შემდეგ ერთხმად დაადგინა დაემორჩილოს კომინტერნის მე-4 კონგრესის ყველა დადგენილებებს.

### ვრანგელის მომხრენი

**მოსკოვი.** 12 იან. საბერძნეთის ნავთსადგურ პირეაში შემოვიდნენ ვრანგელის ყოფილი ფლოტის გემები საფრანგეთის დროშის ქვეშ.

### ირლანდიაში

**მოსკოვი.** 12 იან. დუბლინიდან იუწყებიან, რომ აჯანყებულებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მატარებელი და წაიღეს მატარებლის ბარგი.

### საფრანგეთის კომპარტიაში

**მოსკოვი.** 12 იან. ფროსარი საფრანგეთის კომპარტიაში გამოვიდა განცხადებით, რომ მას არ სურს დაემორჩილოს კომინტერნის დადგენილებას საფრანგეთის საკითხში. ჰუმანიტემ გამოაქვეყნა კაშენის, სელიესი, პერენის და რომბერის მიერ ხელმოწერილი წერილი რომელიც გმობს ფროსარის და სხვების პარტიის მთლიანობის დამრღვევ მოქმედებას. საფრანგეთის კომპარტიის აღნიშნული ცნობილი ხელმძღვანელები გამოსთქვამენ იმედს, რომ პარტიის მუშათა მასსები დარჩებიან ინტერნაციონალის ერთგულად.

# რუსეთი

### მუშათა მიერ ქარხნების მართვა-გამგეობის ხუთი წლის თავი.

**მოსკოვი.** 12 იანვარი. ქარხანა „ელექტრო ძალის“ მუშებმა იდღესასწაულეს მუშების მიერ ქარხნის მართვა-გამგეობის ხუთი წლის თავი. მუშებს მიესალმენ სრულიად უკრაინის ცენტრ. აღმასკომი, უკრ. კომპარტიის ცეკა და წითელი არმიელები. შრომის გმირები დაჯილდოვებული არიან შრომის დროშის ორდენებით. 5 წლის თავის აღსანიშნავად უკრაინის ეკონომიურმა საბჭომ გადასდო 30.000 მანეთი ქარხნის კულტურული საჭიროებისათვის.

### ბრძოლა კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ.

**მოსკოვი.** 12 იანვარი. მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ საბოლოოდ აღმოფხვრა დასავლეთ ციმბირში ესერ-თეთრგვარდიელთა ორგანიზაცია. ორგანიზაციის კომიტეტში შედიოდა 5 ესერი. ორგანიზაციამ დაარსა კონტრრევოლიუციონური იაჩეიკები კულაკებს სასულიერო პირთა და აფიცრებს შორის. აწყობდენ მებრძოლ იაჩეიკებს შემდეგი ლოზუნგით: „გაუმარჯოს მიხეილ რომანოვს ძირს ჟიდები და კომუნისტები“ სამხედრო განყოფილების სათავეში იდგა თეთრგვარდიელი აფიცერი ნეზნამოვი. დაპატიმრებულია ორგანიზაციის 300-ზე მეტი მონაწილე.

### სამშობლოში ბრუნდებიან.

**მოსკოვი.** 12 იანვარი. დონის აღმასკომმა მიიღო ბულგარეთიდან წერილი ერთ ყაზახისაგან, რომელსაც თეთრებთან საპასუხისმგებლო ადგილი ეჭირა დონში. წერილი აღნიშნავს ყაზახების ყოფილ წინამძღოლთა შორის დიდ დაქსაქსვას და ეკითხება აღმასკომს შეუძლიათ თუ არა დაბრუნდენ სამშობლოში გენერალი სტარკი, აბრამოვი და სხვები, რომელთაც გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ საბჭოთა რუსეთს.

# ტფილისის საბჭოს არჩევნები

იანვრის 11, დღის 12 საათზე, კამოს სახელობის თამბაქოს სახელმწიფო ფაბრიკაში, შესდგა გაერთიანებული კრება ამავე ქარხნის და „პიშჩევკუსი“-ს მუშა-მოსამსახურეებისა. კრებას დაესწრო ორასამდე ქალი და კაცი. თავმჯდომარეობდა საარჩევნო კომისიის წევრი. დღის წესრიგს შეადგენდა ტფილისის მესამე საბჭოს არჩევნები. ამ თემაზე პირველად სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ქორიძემ. შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ჩვენი პარტიის სახელით ამხ. გ. მუშიშვილი. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო დასავლეთ ევროპის და საბჭოთა ფედერაციის ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობას. ხაზი გაუსვა სოციალისტურ რესპუბლიკების გაძლიერების საქმეს. აღნიშნა ჩვენი პარტიის მიერ იმ თავითვე აღებულ გეზის სისწორე. შემდეგ ამხანაგმა ილაპარაკა მეორე საბჭოს მოღვაწეობაზე. მიუთითა მუშებს მოღვაწეობის მთავარ მომენტებზე. ვრცლად გადუშალა კრებას ჩვენი პარტიის მუშების სურათი ქალაქის აღმშენებლობის საქმეში და ბოლოს მოუწოდა დამსწრეთ არჩევნებში მხურვალე მონაწილეობის მიღებისაკენ. რადგან კრების საკმაო ნაწილს არა ქართველები წარმოადგენდა, ამხანაგმა ილაპარაკა რუსულ ენაზედაც. საერთო ტაშმა დაფარა ამხანაგის უკანასკნელი სიტყვები. უწანასკნელად ილაპარაკა ამხ. აკოპოვმა. დასასრულ მოხდა არჩევნები. არჩეულ იქმნა ერთხმად 3 დეპუტატი და 2 კანდიდატი. არჩეულებს წაუკითხეს „ნაკაზი“. კრება დაიშალა ნაშუადღევის 2 საათზე. ინტერნაციონალის სიმღერით.

11 იანვარს შესდგა 26 კომუნარების კლუბში წისქვილში მომუშავეთა კრება. დღის წესრიგში იდგა ქალაქის საბჭოს დეპუტატების არჩევა. კომუნისტების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს რუსულ და სომხურ ენაზე. ჩვენი პარტიის სახელით ილაპარაკა ამხ. ჰეიშვილმა. ქართულად წამოყენებულ იქმნა კანდიდატთა სია, რომელიც კრებამ ერთხმად მიიღო.

იანვრის 12, მუშათა ცენტრალურ კლუბში, შესდგა დიასახლისთა და მოსამსახურე ქალთა საერთო კრება დეპუტატების ასარჩევად ქალაქის მე-3-მე საბჭოში. კრება გაიხსნა დილის 12 საათზე მოსმენილ იქნა მოხსენება რუსულ ენაზე შემდეგ ქართულ ენაზე მოხსენება გააკეთა საქართ. მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა ამხ. გ. თავზარაშვილმა, რომელმაც მოკლედ დაახასიათა მომენტი და ქალაქის მე-2-რე საბჭოს მოღვაწეობა. მომხსენებელი მიუდგომელი იყო საბჭოს მოქმედების დადებითი და უარყოფითი მომენტების გაშუქების დროს. ბოლოს სიტყვები მოკლედ გადაითარგმნა სომხურ ენაზე შემდეგ მოხდა არჩევნები აირჩა 3 ქალი. ბოლოს წაკითხულ იქნა ნაკაზი. არჩეულ იქნა დელეგატები. დღის 1 საათზე დაიშალა ქალთა კრება.

იანვრის 12-ს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართა მრავალრიცხოვანი კრება ქალაქის საავადმყოფოების მუშა-მოსამსახურეებისა. დღის წესრიგში იდგა არჩევნების საკითხი. მოხსენებით გამოვიდენ კომპარტის სახელით ამხ. კამაროვი და ჩვენი პარტიის სახელით ამხ. გრ. ხოფერია. მომხსენებელმა განუმარტეს კრებას არჩევნების მნიშვნელობა და ის მუშაობა რომელიც აწარმოვა მეორე საბჭომ ექვსი თვის განმავლობაში. კრება დიდად კმაყოფილი დარჩა მოხსენებით. მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ქალაქის საავადმყოფოების მუშა მოსამსახურენი დამაკმაყოფილებლად სთვლიან მეორე საბჭოს მოღვაწეობას. შემდეგ არჩეულ იქმნა ოთხი დეპუტატი ერთხმად, 3 კომუნისტი და ერთი მემარცხენე სოც.-ფედერალისტი, ამხ. სიმ. ხუნდაძე. დასასრულ წაკითხულ იქმნა „ნაკაზი“. კრება დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით საღამოს 8 საათზე.

იანვრის 12-ს, დღის 1 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა ქალაქის მილიციონერთა კრება. დეპუტატების ასარჩევად მე-3-მე საბჭოში, ილაპარაკა კომუნისტებისა და მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა წარმომადგენლებმა.

უკანასკნელად მოხდა არჩევნები და წაკითხულ იქნა ნაკაზი.

# ახალი ამბები

**ტყიბულის მაღაროებში.** შრომის ინსპექტორმა დაათვალიერა ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების ქვაბები. დათვალიერების დროს აღმოჩნდა რომ ქვაბების მდგომარეობა ცუდია და ვერ აკმაყოფილებს უბრალო ტეხნიკურ მოთხოვნილებასაც. ინსპექტორის დასკვნით ქვაბები იმდენად დაზიანებულია, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია ქვაბების დახეთქვა, რასაც შეიძლება დიდი მსხვერპლი მოყვეს მუშების, რისთვისაც ინსპექტორმა აკრძალა მუშაობა, ქვაბების სათანადო შეკეთებამდი.

— **ჭიათურის რკინის გზის აღდგენა.** წყალდიდობისაგან დანგრეულ ჭიათურის რკინის გზის აღსადგენად შორაპნის მაზრის შრომის განყოფილებამ, ნარკის სახით გამოიწვია ადგილობრივი მოხოვრებლები. რკინის გზის უწყებამ ყველა მუშები დააკმაყოფილა შრომის ჯილდოთი.

— **ნაკაზი პროვინციის დამზღვევ კასებს.** საქართველოს დამზღვევ კასათა ცენტრალურმა მმართველობამ დაუგზავნა ნაკაზი რესპუბლიკის დამზღვევ კასებს, ხელფასის რაოდენობის შესახებ ადგილობრივ დაზღვეულთა პენსიების და დახმარების გამოსარკვევად. საშუალო სატარიფო განაკვეთი. თანახმად დამზღვევ ცენტრალურ კასის გამგეობის ცნობისა, განისაზღვრება 1,860,000 მან. 1 ზოლისათვის, სხვა ადგილებისათვის დაკლებით მათი ზოლების მიხედვით განაკვეთი მეორე ზოლისა უდრის 90 პროც. მესამესი—80, მეოთხესი—70, პროც. პირველ ზოლს ეკუთვნიან: ტფილისი ავჭალებით, ბათომი, ტყიბული, ჭიათურა, ფოთი და სოხუმი. მეორე ზოლს ეკუთვნიან: ქუთაისი, ბორჯომი, ბათომის ოლქი, სვანეთი, რაჭა და ლეჩხუმის მაზრა. მესამე—გორი, სურამი, ხაშური, თელავი, სიღნაღი, აფხაზეთი (სოხუმის ოლქი) და მაზრები: შორაპნის დუშეთის, ბორჩალოსი, ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისის, თიანეთის, ტფილისის დი სამხრეთ ოსეთის. მეოთხე—მაზრები: ახალციხის, გორის სიღნაღის, თელავის და ახალქალაქის.

# მოკლე მიმოხილვა

### ქალაქის აღმასკომის მუშაობის 1922 წ. და პერსპექტივები 1923 წლისთვის.

### ფინანსიური განყოფილება.

ფინანსიური განყოფილება ეს უმთავრესი ნერვია, რომელიც ასაზრდოებს ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის ყველა განყოფილებებს.

ყველა განყოფილებების მოქმედება უმთავრესად დამოკიდებულია ფინანსიურ განყოფილების სწორ ფინანსიურ პოლიტიკაზე.

რა დიდი მისწრაფებანიც არ უნდა ქონდეთ განყოფილებებს, რა მცოდნე და გამოცდილი თანამშრომლებიც არ უნდა ყავდეს ქალ. აღმასკომს, სულ ერთია ფული თუ არ არის საკმარისი, არაფრის გაკეთება [illegible] კეთილი მისწრაფებანი და მუშაობის გეგმები [illegible] ბიან.

ამიტომ ამ განყოფილებას თავიდანვე ექცეოდა ქალ. აღმასკომის უმთავრესი ყურადღება, განყოფილებასთან დაარსებულ იქმნა საფინანსო კომისია ამ დარგში გამოცდილ პირთა მონაწილეობით და ენერგიულ ზომების შემწეობით ქალ. აღმასრულებელ კომიტეტის შემოსავლიანობამ საგრძნობლად იმატა.

განყ. არ დაკმაყოფილდა თითქმის ყველა შემოსავ. მუხლების აწევით და საქმის დაუბრკოლებლივ დიდის ენერგიით ჩატარდა საავადმყოფო გადასახადის აკრეფა, რომელმაც მოგვცა 8 მილიარდი.

საავადმყოფო გადასახადი მთლიანად მოხმარდა სახალხო ჯანმრთელობის საქმეს, შრომის და ტვირთზიდვის გადასახადი კი ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მოწყობას.

საანგარიშო წლის დასასრულს ფინანსიურ განყოფილების ყოფილ გამგის ამხ. თ. ღლონტის ინიციატივით საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტ. და საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით შემოღებულ იქმნა სპეციალური სამოქალაქო გადასახადი ქალაქის ელექტროფიკაციის მიზნით.

ფინანსიურ განყოფილების შუამდგომლობით შემოღებულ იქმნა აგრეთვე სასოფლო გადასახადი, სპეციალურად სახალხო განათლების საქმის საჭიროებისათვის.

ორივე გადასახადები მისცემენ ქალაქს 40 მილიარდ მანეთამდე.

ქალაქის აღმასკომის საერთო შემოსავალი 11 თვის განმავლობაში გამოიხატა შემდეგში:

| თვეები | შემოსავალი ოქრო მან. | ზრდის პროც. |
|---|---|---|
| იანვარი | 9456793 | 100 |
| თებერვალი | 9980789 | 105,5 |
| მარტი | 15960999 | 168,8 |
| აპრილი | 18419450 | 194,8 |
| მაისი | 25775254 | 272,6 |
| ივნისი | 25871115 | 273,6 |
| ივლისი | 28519393 | 301,6 |
| აგვისტო | 32309928 | 341,7 |
| სექტემბ. | 41774290 | 441,7 |
| ოქტომბ. | 37891404 | 400,6 |
| ნოემბერი | 49850924 | 527,1 |

სულ 295810339.

ამ რიგად შემოსავალი ამ ხნის განმავლობაში ყოველ თვიურად მატულობდა ყოველთვიური შემოსავლის ზრდის პროცენტი რთულ პროცენტების ფორმულით უდრის 16,3 პროცენტს.

საერთოთ ნოემბერში შემოსავალი გადიდებულია იანვართან შედარებით 427,1 პროცენტით, ეს ჩვენი მანეთიანის სტაბილიზაციის მიხედვით დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

გადავიდეთ გასავალზე:

| თვეები | გასავალი ოქრო მან. (ათას მან.) | ზრდის პროც. |
|---|---|---|
| იანვარი | 3442111 | 100 |
| თებერვალი | 6834412 | 198,9 |
| მარტი | 11530581 | 335,0 |
| აპრილი | 14781755 | 429,4 |
| მაისი | 24664196 | 716,5 |
| ივნისი | 24310140 | 706,3 |
| ივლისი | 27260155 | 792,0 |
| აგვისტო | 27316252 | 793,6 |
| სექტემბ. | 35492268 | 1031,1 |
| ოქტომბ. | 37929244 | 1101,9 |
| ნოემბ. | 40338389 | 1177.7 |

სულ 254099568.

ამ რიგად ნოემბერში იანვართან შედარებით ხარჯებმა თითქმის იმატა 1077,7 პროცენტით. მაგრამ უნდა მივილოთ მხედველობაში, რომ იანვრის გასავალი ძალიან დაკლებულია, რადგანაც ბევრ ავანსორებს გასულ წლის ხარჯების ანგარიშების წარმოდგენამდე არ ეძლეოდათ ახალი ავანსები.

ყოველთვიურ გასავლის პროცენტის ზრდა მაინც მატულობს 25,13 პროცენტით. შემოსავლის და გასავლის შედარებისას ვხედავთ, რომ საანგარიშო წელი თითქოს მოგებიანათ დასრულდა ეს ბუჰლალტერიის მხრით. ფაქტიურად 1 დეკემბერს სალაროში თავისუფალი თანხა იყო მხოლოდ 317 მილიონი მან. დანარჩენი ფული, უმთავრესად გაუმართლებელი ავანსებია, ფაქტიურად უკვე დახარჯული.

უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობიან დროსთან შედარებით შემოსავალი ძალიან მცირეა, მაშინ, როდესაც ქალაქის მოვალეობა გაიზარდა ორჯერ-სამჯერ და მეტზე.

მაგალითად მშვიდობიან დროს (1908 წ.) ქალაქის შემოსავალი აღწე-

---

მარცხება უზრუნველყო მათმა მოუხეშავმა პოლიტიკამ კოლონიების მიმართ. ამ მხრით ინგლისმა საკოლონიო პოლიტიკის ნიჭი გამოიჩინა, დიდ კოლონიებს ლოიალურ ენაზედ დაუწყო ლაპარაკი.

კიდევ უფრო გადაეტეხა მოხდა ინგლისის საკოლონიო პოლიტიკაში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, რადგან ამერიკის რევოლიუციამ მას საუკეთესო გაკვეთილი მისცა.

ყოველივე ამით რა თქმა უნდა არც ინგლისისათვის შეცვლილა სავსებით ძირეული პრინციპი იმპერიალიზმისა. პროფ. კრემბი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის იმპერიის სურვილი ინდოეთში ის იყო, რომ შექმნა ანგლიზაცია მცხოვრებთა და ინგლისელის თვალსაზრისი ჩაენერგა ადგილობრივ ხალხისათვის. თთ ასეთ ზომას მიმართავს ინგლისი რამდენიმე ასულ მილიონიან კოლონიაში, მცირე კოლონიები, როგორიც არის ცეილონი და სიერა ლოანე გუბერნატორთა სამფლობელოს წარმოადგენს, რომელიც არაფერს ეკითხება ადგილობრივ მკვიდრთ და ყოველივე ინსტრუქციებს ლონდონის კაბინეტისაგან იღებს.

მაგრამ რა მოგვცა ასეთმა პოლიტიკამ? მიაღწია მან თავის მიზანს?

სრულიადაც არა. იმპერიალიზმა შეაფერხა ნაციონალურ ერთეულთა განვითარების პროცესი, მაგრამ მან ვერ მოჰკლა იგი, ეროვნულ ერთეულთა ასიმილიაცია ვერ მოახდინა.

თუ ასეთი იყო კაპიტალიზმის ეპოქაში ერთა ყოფა, სოციალიზმა მას უნდა შემოამტვრიოს მონობის ბორკილები, რომელიც დღეს სალტისებურად აქვს გარს შემოკრული პატარა ერებს და ბუნებრივი გასაქანი უნდა მისცეს ეროვნულ ენერგიას.

ლენინი ფიქრობს, რომ სწორედ თავისუფლების მინიჭება მოკლავს ერს და როგორც ის აღნიშნავს თავის თხზულებათა მე-19 ტომში სოციალიზმის მიზანი ერთა დაახლოვება კი არ არის, არამედ ერთა შეერთებაც არისო. მაგრამ აქ შეცდომაა როგორც სოციოლოგიური ხასიათის, ისე პოლიტიკური ხასიათისაც. პირველი ხასიათის შეცდომას თანამედროვე ისტორიული პროცესი ცხადყოფს რელეფიურად, რაც შეეხება მეორე ხასიათის შეცდომას იგი შემდეგში მდგომარეობს: რაც თავის თავად ბუნებრივი პროცესის შედეგია—ასე ესმის ლენინის ერთა შეერთება—არ შეიძლება მიზანიც იყო, შეგნებული ბრძოლისა და მაშასადამე სოციალიზმისა, რომლისათვის ბრძოლა სწარმოებს განსაზღრული იდეალით. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ მარტო კრიზისების თეორიით, რომელიც მარქსმა სისმონდისაგან მიიღო შესწორებით, კაპიტალიზმის თვითმკვლელობას და მის კატასტროფიულ თეზისს არც ბოლშევიკები იღებენ სახელმძღვანელოდ და შეიარაღებულ თავდასხმას აწარმოებენ კაპიტალიზმზე, რომელიც თვით მკვლელობით არ ასრულებს თავის არსებობას.

მაშასადამე სოციალიზმის **მიზანი** არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს **ერთა შეერთება,** როგორც ეს ლენინს აქვს მიჩნეული. პირიქით სოციალიზმის ნაციონალიზაცია უნდა მოხდეს და ერი კი არ უნდა შეეგუოს სოციალისტურ რეჟიმს თავის ინდივიდუალობის დაკარგვით, არამედ სოციალიზმი უნდა შეეთვისოს, ერს ეროვნული ინდივიდუალობის გამტკიცებისათვის.

ჩვენ შორს წაგვიყვანდა სოციოლოგიური ხასიათის ექსკურსია, თორემ სიცხადით შეიძლებოდა იმ დებულების წამოყენება, რომ ეროვნულ ერთეულთა ჩამოყალიბებას ყოველ განვითარების საფეხურზე ქონდა ორი იმპულსი. ერთი იყო უკანსვლის და მეორე წინსვლის. ასეთი იყო ძველად მსოფლიო სახელმწიფოს იდეა და დაპყრობითი პოლიტიკა, რომელიც ერთი მხრით ანადგურებდა ტომებს, მაგრამ მეორე მხრივ ტომთა დაახლოვებით ბუნებრივ შერჩევას ქონდა ადგილი და მუშავდებოდა ურთიერთ გავლენით განსაკუთრებული კულტურული ფიზიონომია. ასეთივე სამსახური გაუწია ამ პროცესს ქრისტიანიზმა, რომელმაც პიროვნების თავისუფლებას მისცა სტიმული, რაც ხელს უწყობდა მონურ ინსტიტუტის დანგრევას და საზოგადოების მთელი კონტიგენტის განვითარებას, რომელიც საფუძველი იყო ეროვნულ ინდივიდუალობის შეგნების მაგრამ ამავე ქრისტიანიზმა ნაციონალური ზღუდე გადალახა და ეკლესიის, სარწმუნოების ნიადაგზე მოახდინა კაცობრიობის გადაყოფა, რაც ხელის შემშლელი მოვლენა იყო ეროვნების განვითარებისთვის.

ფეოდალიზმაც მოგვცა ერთი მხრივ პარტიკულიარული წყობილება ნაციონალურ ერთეულის დაქუცმაცება, ხოლო მეორე მხრივ ასეთივე კუთხური პატრიოტიზმი. კაპიტალიზმა გადალახა პარტიკულიარიზმის ზღუდე და ფართო ასპარეზი მისცა ეროვნული კულტურის ჩამოყალიბებას, მაგრამ ამავე კაპიტალიზმა პაუპერიზმის ზრდით და ხალხის უმრავლესობის ეკონომიურად დამონებით საზოგადოების ქვენა ფენებს საშუალება დაუკარგა ეროვნული კულტურის შეთვისებისა.

სოციალიზმი კი პიროვნების განთავისუფლებას უზრუნველყოფს და ამ მხრივ იგი საუკეთესო პირობას შექმნის ეროვნულ ინდივიდუალობის გაშლისათვის. ამ სტადიის გასწვრივ კაცობრიობის განვითარებისა, ერთა შორის ჰიდილი უაღრესად კულტურული ჰიდილი იქნება მაგრამ ეს ჰიდილი არ მოისპობა, რაც თავის თავად პროგრესიულ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

ვიმეორებთ ისტორიის ლოღიკა სოციალიზმის ნაციონალიზაციისაკენ მიგვაქანებს და მას ფილისტირულ ქაქანით ვერც ერთი დოგმატიკოსის ურწმუნო თავი ვერ გააქარწყლებს და ვერ ჰოსპობს.

**ხერ. ამაღლობელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდა 2 მილიონამდე, რაც ჩვენი ბონებით შეადგენს (ნოემბრის კურსით) 500 მილიარდ მანეთს.

1915 წ. ხარჯთ აღრიცხვა უდრიდა 3649652 მანეთს, რაიც ჩვენი ბონებით შეადგენს 902 მილიარდ მანეთს.

ამასთან ერთად ძველი ქალაქის მმართველობა თავის მზრუნველობას ავრცელებდა მხოლოდ სოლოლაკის ბურჟუაზიაზე.

ამ ჟამად ქალაქის აღმასრულებელი ხელის უფლება, რომელიც არჩეულია მუშათა კლასის მიერ, ვალდებულია გაავრცელოს თავის მზრუნველობა მთელ მცხოვრებლებზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფინანსიური შესაძლებლობა საბჭოთა ხელის უფლების დიდათ დაშორებულია ძველი ხელის უფლების ფინანსიურ შესაძლებლობაზე. ეს იმით აიხსნება, რომ ყველა შემოსავალი ქალაქის აღმასკომის, ყველა გადასახადები შედარებით მცირეა და ვერ შეედრება ძველ გადასახადებს, რომელიც მთელ თავის სიმძიმით უმთავრესად მცხოვრებთა შეუძლებელ მასსას აწვებოდა.

**ვნახოთ როგორ იხარჯება ეს ფული:**

| | | |
|---|---|---|
| 1. კომუნალურ წარმოებათა შესანახათ დახარჯულია . | 164,1 მილიარდი | (64,5 პროც. |
| 2. სახალხო განათლების " " . | 29,5 " | (11,6 " |
| 3. სახალხო ჯანმრთელობის " " . | 21,2 " | ( 8,4 " |
| 4. საზოგადო უზრუნველყოფისათვის (მილიცია, ცეცხლის მქრობელი რაზმი) " " . | 17,4 " | ( 6,9 " |
| 5. ქალ. აღმასკომის შესანახავად (კანცელარია, ფინ. გან. ბუღალტ.) " " . | 11,1 " | ( 4,4 " |
| 6. სასტატის. განყ. " " . | 1,3 " | ( 0,5 " |
| 7. დანარჩენი ხარჯები " " . | 8,4 " | ( 3,7 " |

ამ რიგად უმთავრეს ხარჯებს იწვევს კომუნალურ მეურნეობის განყოფილება, რაიც სრულიად გასაგებია, ვინაიდან იმპერიალისტურ ომით დანგრეული მეურნეობა საჭიროებს აღდგენას.

(შემდეგი იქნება)

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ატომები და პლანეტთა სისტემა.**

ძველ ფიზიკოსებს, მაგალითად, 1844 წ. გარდაცვლილ დალტონს, წარმოდგენილი ქონდათ ატომი რაღაც კვერცხის მსგავსათ, რომელიც მატერიით იყო ავსილი. ახლა ჩვენ უკვე მარტო ის კი არ ვიცით, რომ ატომები იმდენათ მცირეა, რომ ერთ კუბიკურ სანტიმეტრში სივრცისა 50 ბილიონი ატომი თავსდება; მეცნიერების უკანასკნელმა აღმოჩენებმა გვაჩვენეს, რომ ამ უაღრესად მცირე სივრცეში ამავე დროს არის სავსებით მსოფლიოს მსგავსი რამ, ატომების წყობა სავსებით გავს ჩვენს მზის ქვეყანას. ზოგიერთ ატომებში მოქცეულია წყალბადი, ელექტრონი და სხვები და ეს ელექტრონი წარმოუდგენელი სისწრაფით მოძრაობის ატომის გარშემო—პლანეტების მოძრაობის ანალოგიურათ. ელექტრონების რიცხვი ატომში სუსტად შეეფერება მისი დადებითი ელექტრონობით გატენილობის ძალას, დაწყებული წყალბადის ატომიდან ერთი ელექტრონით და გათავებული ურანის ატომით 29 ელექტრონით; ამ სერიას შეეფერება 92 ელემენტი, რომელთაგან ჩვენთვის ცნობილია 87, და ისე, როგორც მეცნიერება გამოანგარიშების საშვალებით პოულობდა ამ დანაკლის ელემენტებს, ისე თანამედროვე მეცნიერებაც ეძებს ამ 5 ელემენტს. ცნობილმა კანადის მეცნიერმა ერნესტ რეზერფორდმა თავის მოხსენებაში სცადა ელემენტების გადაქცევის პრობლემის გადაჭრა, რომელიც ალქიმიკოსს ჭკუას აკარგვინებდა.

**სისხლის ბურთების ბრძოლა ეკრანზე.**

პარიზის პოლიტეხნიკუმში აქიმმა კომანდონმა, გამოჩენილმა ბიოლოგმა პასტერის ინსტიტუტიდან, გამოაქვეყნა თავისი სენსაციური მეცნიერული ფილმები. ეს არის 15 წლის მუშაობის ნაყოფი; მეცნიერს დასჭირდა მრავალ დაბრკოლებათა დაძლევა. იმისათვის, რომ კინოს ეკრანზე იყოს ნაჩვენები ინფუზორიის პატარა ტანი, რომელიც ერთ მეათასედ მილიმეტრს შეიცავს. საჭიროა მათი სინათლის ძლიერ ნაკადში მოქცევა, ხოლო სინათლე კი მათ კლავს. ულტრა-მიკროსკოპის საშუალებით შესაძლებელი გახდა მისი 1000-ჯერ გადიდება, ხოლო პროექცია ეკრანზე იძლევა მის 50.000-ჯერ გადიდებას, რითაც ბაქტერიები „მიკრონის“ დიამეტრით სარდინის თევზის ოდენა ხდებიან.

მიღებულ იქნა ფეერიული სურათი. სისხლის მილების ცხოვრება თვალწინ ეხატვის მცქერალს, როგორც იმპრესიონისტული მთვარის პეიზაჟი: ფართო მდინარე მქუხარეთ მისდევს თავის ნაპირებს, მიაქვს თან ქვები, მარგალიტები, რეცხავს მთებს, აკეთებს კუნძულებს;—ეს კალეიდესკოპი წვენების ცირკულიაციისა ემორჩილება რითმის კანონებს. ეს არის ფანტასმაგორია და მასთან ერთად დრამაც, ომიც. შეიარაღებული მიკრობები, კოშმარული დრაკონების და აპოკალიპტიურ მხეცების სახით, სპიროხეტები და ტრიპანოზომები იწყებენ სასტიკ, სისხლიან ბრძოლას ერთმანეთთან. სხვა და სხვაგვარი პარიზიტები წარმოუდგენელ სიმკაცრეს იჩენენ; დამსწრე შეამჩნევს, თუ როგორი გააფთრებით ეცემიან ისინი წითელ ბურთებს, გლეჯენ მათ, ართმევენ გემოგლობინს, რომელიც გამოდის მიყენებული ჭრილობიდან. თქვენ ხედავთ, თუ ვიბრიონი როგორც ტყვია, როგორც გმირავს თავის მსხვერპლს. თქვენ ამჩნევთ წითელი ბურთების აგონიას, თუ როგორ იმსხვრევიან ისინი და როგორ იღებენ ისევ თავის ელასტიურობას; როგორ ჯიუტათ თავხედურათ იცავენ თავს.

გახურებული ბრძოლაა. წითელი არმიის დასახმარებლად მოდის თეთრი არმია. თეთრმა ბურთებმა, ლეიკოციტებმა შენიშნეს, რომ წითელი ბურთები განსაცდელში არიან. და თქვენ ხედავთ, თუ თეთრი ბურთები ეკრანის ყოველი მხარიდან როგორ ისწრაფვიან, როგორ არღვევენ მებრძოლ ნაწილებს და მოკლე გზით მიემართებიან, ისინი თავს ესხმიან მოპირდაპირეს, არჩობენ მას და ცდილობენ მეტი ტყვეების ხელში ჩაგდებას.

ეს არის დრამა, მაგრამ ეს ამავე დროს ბალეტიცაა. ეს მეომრები განცვიფრებული გრაციით და სიმეტრიით ხაზავენ გეომეტრიულ ფიგურებს; ცენტროზომები და სპირემები ცერემონიალური წესით, თანდათანობით და ნელნელა სცილდებიან ერთმანეთს და ნაპირებისაკენ მიიმართებიან...

საფრანგეთის პრესა აღტაცებით აღნიშნას ამ აღმოჩენას, რომელიც ფართო საზოგადოებას მისცა ამ მეცნიერულმა ფილმებმა აქიმ კომანდონისა. ჩვენი მკითხველებისთვის აღსანიშნავია რომ, ფაგოციტოზის მოვლენიდან არის დამოკიდებული ჩვენი სიკვდილი და სიცოცხლე, თუ თეთრი ბურთები შესძლებენ მტრის გამკლავებას, ისინი გადაარჩენენ პლექიანს და სხვ,

## პროვინციის ცხოვრება

— **მთავარი მიწკომის დაარსება.** მიწად-მოქმედების კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, აჭარაში მიწათმომწყობ კომპანიის ხელმძღვანელობისათვის მიწად-მოქმედების კომისარიატთან დაარსდა მთავარი მიწკომი, რომელიც შესდგება სამი კაცისაგან ამხ. გ. სვანიძის თავმჯდომარეობით, წევრებათ იქნებიან ერთი ცენტრაღმასკომის და ერთიც ცებიუროს წარმომადგენელი.

— **აგრონომიული დახმარება.** აჭარის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის დავალებით, სასოფლო სამეურნეო განყოფილებამ შეადგინა სმეტა მეფუტკრეობის ორგანიზაციისათვის ქვემო და ზემო აჭარაში. (ხულოს, ქედის და სხვა სოფლებში).

— **სასურსათო გადასახადი.** სახ. სასურსათო კომისარიატის ცნობით ივნისის 11-სათვის დასავლეთ საქართველოში შევსებულია მიმდინარე წლის სასურსათო გადასახადი 41.436 ფ. სიმინდის ერთეულისა ან 13,1 პროც, განაწერისა. მაზრების მიხედვით შეგროვილია: რაჭის მაზ.—9.750 ფ. (65 პროც. შოროპანის 22.695 ფ. (55, 9 პროც.); ოზურგეთის—4.630 ფ. (12, 4 პროც.) ზუგდიდის—3.105 ფ. (5, 2 პრო.); სენაკის 1.212 (1. 8 პროც.); ლეჩხუმის—114 ფ. (1, 5 პროც); ქუთაისიდან არ არის მიღებული შეგროვილ ხორბალის რაოდენობის შესახებ ცნობები.

— **გამოფენა.** აჭარისტანჩს ხე-ტყის მუშები შეუდგნენ აჭარის ბაღეულობისა და ხილეულობის სეზონის გამოფენის მოწყობას. შემდეგში განზრახულია ასეთი გამოფენის მოწყობა პერიოდულად.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** ამ დღებში დასრულდა შთამის რაიონის წითელი შკოლის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც აღნიშნა საგრძნობი წარმატება წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის საქმისა წითელ-არმიელთა შორის.

## პროფესიონალური ცხოვრება

**ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციაში**

სრულიად საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პირველ ყრილობის დელეგატები შაბათს, იანვრის 13-ს, 10—2 საათზე უნდა გამოცხადდენ სექციის შენობაში (პროფკავშირების საბჭო, 3 სართული ოთახი № 34) ანკეტების შესავსებად და მანდატების მისაღებად, ხოლო ყრილობის გახსნის დღეს, კვირას 14 იანვარს უნდა გამოცხადდენ ყრილობის შენობაში (კოლოუბანის ქ. № 3, განათლების მუშაკთა სახლი).

მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: ავენირი, ანჩარსკი, ბრიჩევი, ბებრიშევი, ბუაჩიძე, გიკი, გინდინი, გურსკაია, გურსკი, გუსეინ-სელიხი, გიულფმიანი, ერკინიანი, ისანისიანი, მალავკია, მურავსკი, ორახელაშვილი მამია, კაცი, კარაულოვი, კასპაროვი, კიკნაძე, კოჩიაშვალი, კვარაცხელია, საყვარელიძე, სტერი, სლავინსკი, თუმანოვი, ხოფერია გრ., ჯაიანი, შავერდოვა.

ყრილობა გაიხსნება კვირას, იანვრის 14-ს, დღის 12 საათზე. განათლების მუშაკთა სახლში. იქვე, 11 საათზე შესდგება ყრილობის კომფრაქციის სხდომა.

გან. მუშ. კავშირის თავმჯდომარე **შავერდოვა**.

ბეჭდითი საქმის მუშაკთა სექციის თავმჯდომარე **ავენირი**.

სექციის მდივანი **გიულფმიანი**.

## ბიბლიოგრაფი

**,,საქართველოს გეოგრაფია‘‘**

ივ. რუხაძის წიგნი, თ. მთავრიშვილის და ამხ. გამოცემა ქუთაისში 1922 წელს.

1922 წლის მიწურულს ეს გამოცემა მეტად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ ჟამად, როცა ჩვენ ქართული წიგნის კრიზისმა მოგვიცვა თ. მთავრიშვილის და ამხ. გამომცემლობა ენერგიულად განაგრძობს მოღვაწეობას და დრო გამოშვებით ბაზარზე გვევლინება აღნიშნულ ამხანაგობის მიერ დასტამბული ქართული წიგნი.

აღნიშნული წიგნი „საქართველოს გეოგრაფია“ ეკუთვნის ჟენევაში სწავლა მიღებულ პრივადოცენტს ივ. რუხაძეს.

ჩვენ სიამოვნებით ვშლით ამ წიგნს და ვიწყებთ მის განხილვას.

აქამომდე სამშობლო ქვეყნის შესასწავლად ჩვენ კაპიტალური საგეოგრაფიო ნაწარმოები გარდა ბატონიშვილვახუშტის გეოგრაფიისა, არაფერი მოგვეპოებოდა,

თავის-თავად ცხადია ვახუშტის ძვირფასი ნაშრომი მასიურ სარგებლობისათვის მიუწვდომელი იყო, საჭირო იყო თანდროულ გაგებით და სწორ ახაზულობით მარტივად შედგენილი გეოგრაფია, რომელიც ყოველ საშუალო მკითხველს მშობლიურ ქვეყნის გაცნობის მსურველს გაუწევდა დახმარებას.

თუ რამდენად აკმაყოფილებს ასეთ „დავალებას“ ი. რუხაძის „საქართველოს გეოგრაფია“ ამას ჩვენ მას დაწვრილებით განხილვის დროს დავინახავთ.

წიგნის ზერელეთ გადაფურცვლისას ჩვენ შევამჩნიეთ, რომ მის ავტორს საქართველოს შესახებ საკმაო.

ცნობები ჰქონია, თან როგორც წინა სიტყვაში ამბობს მას უსარგებლნია ბატონიშვილ ვახუშტის და სხვა პოპულიარ ნაშრომებით.

ენა საკმაოდ მოხდენილი და ელასტიურია. იხსნება წიგნი კავკასიის აღწერით, შემდგომ იხაზება საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები, ზღვა, მთები, კავკასიონი, მთავარი და გვერდის გრეხილი და სხვ. მცხოვრებნი, აღებ-მიცემობა, მრეწველობა (სტატისტიკა), სარწმუნოება, სახალხო განათლება, ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, მართველობა და ადმინისტრატიული დანაწილება.

წიგნი იხურება ბოლო სიტყვაობით და შენიშნული შეცდომების აღნუსხვით.

წიგნს აწერია „საშუალო სასწავლებლებისათვის“ მაგრამ ჩვენის ფიქრით ის გამოგვადგება არა მარტო სკოლაში. იგი დახმარებას გაუწევს სამშობლოს გაცნობას ყველა მოსურნეს.

ეს მოკლე შენიშვნა ვერ ამოსწურავს ხსენებულ წიგნის შეფასებას. დაწვრილებით წიგნის [illegible] შემდეგში.

[illegible]

## ხელოვნება

— **აღმოსავლეთის ხელოვნება.** ბერლინის ცნობილმა გამომცემლობამ ბრუნო კასირერმა გამოსცა წიგნების სერია აღმოსავლეთის ხელოვნების შესახებ. ამ სერიებს ეკუთვნის თხზულებები: ეგვიპტელების პლასტიკის, ძველი სპარსეთის ხელოვნების შესახებ. ვასმუტის გამომცემლობით გამოვიდა სერია წიგნებისა: „მსოფლიო საღებავებში“, რომელთაგანაც რამდენიმე წიგნი აღმოსავლეთის ხელოვნებისადმი არის მიძღვნილი.

—

თებერვლის 2-ს რუსთაველის თეატრში დანიშნულია შალვა დადიანის 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე.

დადგმული იქნება „გეგეჭკორი“ (პირველი მოქმედება) და „გუშინდელნი“ (პირველი ორი მოქმედება) წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ნინო ჩხეიძე, ალექსანდრე წუწუნავა, და მიხეილ გელოვანი, რომელიც საგანგებოდ ჩამოვა ამ დღისათვის ბათომიდან.

—

**ქუთაისის სახელმწიფო დრამატიული დასი.**

ქუთაისში უკვე შესდგა დრამატიული დასი, რომლის ხელმძღვანელად ტფილისიდგან მიწვეულია მსახიობი იუზა ზარდალიშვილი. სეზონი გაიხსნება 25 იანვარს სენკევიჩის ცნობილი პიესით „ვიდრე ხვალ“. ტფილისიდან აგრეთვე მიწვეულნი არიან ცაცა ამირეჯიბი, რონელი, არეთა ლოლუა და ფრანგიშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

## მოწოდება

მოქალაქენო, ქალაქ ტფილისის მცხოვრებ მუსულმანებს აქვთ ვრცელი ისტორია არსებობისა და მოწმენი არიან, როგორც მეფის მთავრობის, აგრეთვე მენშევიკების ხელისუფლებისა საქართველოში, მაგრამ არც ერთმა და არც მეორემ, ვიდრე საქართველოში არ დამკვიდრდა საბჭოთა ხელისუფლება, არ მოისურვა მიექცია ყურადღება მუსულმანთა კულტურულ ჩამორჩენილობისათვის, რომ რამდენამდე მაინც გაეუმჯობესებინათ მათი მდგომარეობა და ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც თვითონ ტფილისის მუსულმანები მიმართავდენ ყოფილ მთავრობებს და სთხოვდენ მათ სკოლის შენობების ასაგებად მხოლოდ ნებართვას ამასთანავე ტფილისის მუსულმანობა მზად იყო თავის მხრივ შენობის ასაშენებლად გაეღო ყოველგვარი ხარჯი.

დღეს როდესაც საქართველოში დამკვიდრებულია საბჭოთა ხელისუფლება, როდესაც არამც თუ მცხოვრებთ უხდებათ თხოვნებით სიარული, არამედ თვით მთავრობა მიდის ხალხთან და იღებს ყოველივე ზომას მათ წინსვლისა და განათლებისათვის, მუსულმანებმა ყოველ მხრივ უნდა ისარგებლონ ამგვარი მდგომარეობით და თვის საკეთილდღეოთ შეასრულონ ის, რის შესრულებაც ვერას გზით ვერ მოხერხდა ყოფილი მთავრობების დროს.

აუცილებელია, რომ ქალაქ ტფილისის მუსულმანებმა ააშენონ განსაკუთრებული შენობა, რომელიც დაიტევს, როგორც სამასწავლებლო ტეხნიკუმს, აგრეთვე შრომის სკოლას და საბავშვო ბაღს, მით უმეტეს, რომ დღეს მუსულმანებს აქვთ ტფილისში მხოლოდ 4 შრომის სკოლას, სადაც მოთავსებულია მხოლოდ 560 ბავშვი და არც ერთ სკოლას არა აქვს საკუთარი შენობა, სკოლების სიმცირის გამო აუარებელი რიცხვი ბავშვებისა რჩება სასწავლებლის გარეშე.

ამ მიზნის განსახორციელებლად ქალაქ ტფილისის მუსულმანობამ აირჩია განსაკუთრებული კომიტეტი ქალაქ ტფილისის განათლების განყოფილების გამგის და რუხაძის თავმჯდომარეობით რომელიც უკვე შეუდგა მუსულმანთა რაიონში, სადაც უწინ უნდა აშენებულიყო მეჩეთი, შენობის აგების საქმის მოწესრიგებას.

საამშენებლო კომიტეტი მიმართავს ყველა მოქალაქეს, დაწესებულებას და ორგანიზაციებს თხოვნით აღმოუჩინონ კომიტეტს დახმარება შემოწირულებით.

შემოწირულება მიიღება ქალაქის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებაში ოთახი № 57, შემოწირულებას შეაგროვებენ აგრეთვე არჩეულნი პირნი, რომელთაც ექნებათ ამისათვის განსაკუთრებული მანდატი და სპეციალურად დამზადებული წიგნები.

საამშ. კომიტ. თავმჯდომარე **ღ. რუხაძე** მდივანი **ზ. კლიმიაშვილი.**

№ 267 1—1

სახელმწიფო ბანკის ტფილისის
# კანტორა
ჰყიდის მომქებიან ოქროს სესხის
# ობლიგაციებს
5 მანეთ კუპიურას **2 მილიონ მანეთად** ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით ან ქართული ბონებით ან **50 მილ. მანეთად** ძველი ნიმუშის საბჭოთა ფულის ნიშნებით.

25 მანეთ. კუპიურას 12 მილიონ მანეთად ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით ან ქართული ბონებით ან 750 მილიონ მანეთად ძველი ნიმუშის საბჭოთა ფულის ნიშნებით.

კოლექტიურ ხელის მოწერის დროს მუშათა ორგანიზაციებს ეძლევათ 50%-ით ნაკლებ.

№ 266 1—1

დოკტორი **გ. მეგრაბიანცი**
**„უ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“**
**შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა, რენტგენის სინათლის— ელექტრონის წამლობის კაბინეთი.**
**იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.**
№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23. 35

ტირაჟი 700
საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.